

— შინა უ რ ი — საქმეები

№ 22

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

სოფელ-კვიციანის ბაზრით

კვირა, 31 ივლისი 1911 წელი

რედაქცია უბორჩილესად სთხოვს ხელის მოძღვრლებს და მ. მ. ბლაღოჩინებს გახუთის წლიური ფასი დროზე დაკავაშელონ.

ყოველ-კვირულ გაზეთ

ფინანსურ საქმეებზე

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალოს რაიონში) კომპლემენტთან სამთავრო-კაზაკოვის შესახებ № 17, და თბილისში ხის ბაზარში, სომონანდის შუშის მდებარეობაში. გამოცემა თვეში ერთხელ ხდება, ხელის მოწერვლებს ვახუთის ფასი მიეღვი წლის ნომერი, ბბ. ხელის გამოგზავნა.

წლიური ფასი: 3 მანეთი. მასიდან წლის ბოლომდის ნახ. წლი: 2 მანეთი და 10 შაური. დრესა: ქუთაისი; შინაურა საქმეების რედაქცია.

შინაარსი: 1) სიტყვა ეზისკ. ლუბინდისა; 2) არის თუ არა პროგრესი?; 3) არსებობს თუ არა სსკეპსიო კრებაზე; 4) ფრანგული ნათლის დება; 5) „გულისგან გამოვლენ გულის სატყუანი პორტეტი“ — ბლად. მარჯიანისა; 6) შემოწმებულა: 7) სიტყვა მუშა ი. შახნაზარაფისა; 8) კრიტიკული დახსნათება — ხომლელისა; 9) სოფ. მუხურა — ემანუილისა; 10) თეკლათის მონასტრის ახალი ილუმენადა ნინო; 11) წაღმა ჟეულმა — კ. წუთისაფლელისა;

ს ი ტ ყ ვ ა

თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენადა კურთხევის ვაძო.

მიიღე კვერთხი ესე, რომლითაც დამტკიცებთა სამწყსო ზენი წარმართო, რამეთუ ჯერ გიჩნს სიტყვისა მიცემად მათთვის ღვთისა ჩვენისა მიმართ დღესა მას სასჯელისასა.

(იხ. სამღვდელმთავრო კონდაკი.)

სრული სიწრფელით, ჩემი გულის მთელი ძალითა და გრძნობით მოგილოცავ, ახლად დადგინებულ პატროსანო დედაო ილუმენადა ნინო, უმადლეს ეკლესიურ ხარისხზე აღწევას. საუკეთესო იმედებით აღვისილი და საღმრთო



მხიარულებით აღფრთოვანებული გადმოგვცემ ამ კვერთხს, — რომელიც არის შენი უმფროსობის, შენი უფლებამოსილობის, შენი ძალის და უპირატესობის გარეგანი ნიშანი.

ღვთისაგან ნაკურთხსა და ყველაფრით დალოცვილს შენს სათაყვანო სამშობლო—ქიზიყში, რომლის ისედაც გამოუთქმელ სიტუაციას აათკეცებენ მისი ხშირი მთებიდან და მალ-ლობებიდან ტყესაწვით ატეხილი, თეთრად გამოშინებული ქვითკირის მოხდენილი ეკლესიები, ექვს გარეშეა, ხშირად გენახვება დიდძალი ცხვრების ფარები, რომლებსაც თვალ დაუხუჭავად და მუხლ ჩაუკეცავად სდარაჯობენ და თავს დასტრიალობენ გონება შეკრებილი, ჩაფქრებული და დინჯად მოუბარი მწყემსები აუცილებელი თავმოკაუქებული დიდრონი ჯობებით ხელში. უსათუოდ შენიშული გექნება, რომ ამ ყავარჯნებს ანუ კვერთხებს მწყემსები მარჯვედ ხმარობენ ხოლმე, როდესაც მათ ძვირფას ცხვრებს ებარება ქურდი, ან მტაცებელი ნადირი; ამ ყავარჯნებს გადუქნევენ ხოლმე თვით ცხვრებს, თუ ისინი ერთმანეთში იბრძვიან და მოსვენებას არ აძლევენ ერთი მეორეს, ამ ყავარჯნებით გამოითრევენ ხოლმე შამბ-ეკალ-ბარდებში გაბმულ, ან წყალში და ღრანტეში გადავარდნილ ცხოველებს, ამ ყავარჯნების საშუალებით ერეკებიან მათ საუკეთესო საძოვრისაკენ, საამო ჩეროში და სამშვიდობო ბინაზე, გარნა ამ ყავარჯნებს პატრონები არას ოდეს არ ხმარობენ თავიანთი ცხვრების უბრალოდ და უშიზნოდ გასალახ-სატყველად.

ეს შენი უმფროსობის სიმბოლო, ახალი მალღიანი კვერთხიც, ნურც ერთხელ ნუ იქნება შენგან გადაქნეული შენი პატარა სულიერი სამწყსოს რომელიმე წვერისადმი უშიზნოთ და უშიზნოთ ტკივილის მისაყენებლათ. ცხვრებისათვის თავდადებული მწყემსის მსგავსად ნურც შენ მისცემ შენს თვალსა და მუხლებს მოსვენებას, თავდადებით უღარავე დღე და ღამ საწინამძღვრო კვერთხით ხელში ღვთისაგან მოცემულს შენს სამწყსოს, რომ არსაიდგან შემოგებაროს მგელი და არ წაგიწყმიდოს

რომელმე ცხოვარი, იფხიზლე და თვალყური აღევნე, რ-მ დათა შორის არა და-თესოს რა და ფეხი არ მოიკიდოს ისეთმა რამემ, რაც მავნებელია მათი მონაზნობის წოდებისათვის და, საჭირო შემთხვევაში, იმარჯვე კვერთხი ესე, მოსწვი ამით, როგორც ჯოჯობეთის ქვით, თესლი ბოროტებისა და სისწრაფით ამოფხვარი იგი ძირიან-ფესვიანათ შენი საგამგებლოდან, ოღნავაც არა მიმხედველმან ვასიმე ხათრისა ანუ შიშისა; იმხნევე, იზრუნე, იმუშავე, იღვაწე და იგულსმოდგინე, როგორც ერთგულმა ქირისუფალმა, რომ შენს ხელქვეითებს არ აკლდეთ არც ხორციელი და არც სულიერი საზრდო-საკვები, რომ შენმა სულიერმა შვილებმა აქაც კეთილად იმოქალაქონ და იქაც ღირსნი აღმოჩნდნენ სასუფეველის დამკვიდრებისა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მძიმე და ძნელი განსახორციელებელია, ნათქვამის შესრულება აღემატება ჩვენს უძლურებას, მაგრამ მაინც ნუ შესწუხდები და ნუ დაეჩაფვრინები ამოა შიშს: გაიხსენე ის გარემოება, რომ თვით საქმით, პირადი გამოცდილებით, საკუთარი ცხოვრებით გაცნობილი, მიჩვეული და რამდენადმე უკვე მომზადებული ხარ ამ სიმძიმის საზიდავთ; გაიხსენე რომ მხსნელმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელიც „მონაზონთა დიდება და მოღვაწეთა შემამკობელია“, მოგცა უდიდესი ბედნიერება სიყრმიდგან მონასტერში აღზრდისა ისეთი დიდებული სულიერი მნათობისა კალთის ქვეშ, როგორც არის მოციქულთა სწორი წმ. ნინო? ქართველი ერის სულიერმა საუნჯემ—წმ. ნინოს მადლით მოსილმა საფლავმა, — რომლის მსახურებაშიაც განვლე საუკეთესო ხანა შენი ქვეყნიური ცხოვრებისა, საკმაოდ გაგაცნო სიტკბო ქრისტეს სიყვარულისა, ქრისტეს გამოსახვისა გულსა და გონებაში, ქრისტეზე და მხოლოდ ქრისტეზე სასოების დამყარებისა და რაღათ უნდა გერიდებოდეს საწინამძღვრო კვერთხისა, როდესაც წმ. ნინოს ცხოვრებიდან იცი, რომ ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა (მარკ. 9, 23), როდესაც თვითონ იესო ტკბილი გასწავებს: უკეთუ გაქნდეს სარწმუნოება, და არა შეგორ-

გულდეთ... ჰრქვით თუ მთას ამას: აღიფხვარ ამირ, და შთავარდი ზღვასა, იყოს ეგრეთ და ყოველსა, რაოდენსა ითხოდეთ ლოცვისა შინა სარწუნოებით, გეყოს თქვენ (მათ. 21, 21—22).

მაშ მოვედ კადნიერებით, ქრისტესაგან გამოჩნეულ დედა ილუმენია, და მიიღე ჩემი ღირსებ-საგან კვერთხი ესე, რომელთა ც დამტკიცებითა ს მწყსო შენი წარმართო, რ მეთუ ჯერ გიჩნს სიტყვისა მიცემად მათთვის ღვთისა ჩვენისა მიმართ ღღესა მას სასჯელი-სასა“.

ღედის სიხარული და ბედნიერება, უსა-თუოდ, მისი მოსიყვარულე შვილებისთვისაც სასიამოვნოა, რამდენათაც გასახარელი და სა-ნეტაროა ეს ღღე თქვენი სულიერი ღედის-თვის, იმდენათ სანეტარო და საღღესასწაუ-ლოა იგი თქვენთვისაც, ჰატიოსანო ღედებო და ღებო. რა დარბებით, რა მოძღვრებით და სწავლით გაგიმასპინძლდეთ ღღეს, რომ უფრო გაღრმავდეს თქვენი სიხარული, უფრო შეგნე-ბით დასტებთ თქვენს ცხოვრებაში შესანიშ-ნი ღღესასწაულით?

ყოველთვის, როდესაც კი შენთხვევა მქო-ნია ამ წმ. ტაძარში წირვა-ლოცვის მოსმენი-სა, მადლითა და შეწვევითა ღვთისათა არ და-მიტოვებხართ ისე, რომ არ მომეპართოს თქვენდამი ჩემი სუსტი გონებისაგან შესაძლო სწავლა-დარიგებათ. ღღეს კი იმაზე უკეთესს, იმაზე შესაფერს და თქვენს მდგომარეობაზე იმაზე უფრო ზედ გამოქრის ვერას გეტყვით, რის მოსმენაც ძველ დროთაგანვე სავალდებუ-ლოდ უცენია დათა და ძმათათვის წმ. ეკლე-სიას წინამძღვრის დაღვინების გამო. აი ეს სა-გულისნმო მოძღვრება:

„თქვენცა, ჰატიოსანო ღედანო, თანა გაძსთ წინამძღვრისა ამის თქვენისა ჰატივისა ღირსისა მიცემად და დამორჩილებად უფლისა მიერ, ვითარცა შვილთა ღედისა მიმართ, ვი-თარცა მოწაფეთა, მოძღვრისა მიმართ, ვითარ-ცა ცხოვართა მწყემსისა მიმართ, თვინიერ ყოვ-ლისაეე უჩრების და უჯერობისა, მცნებისა-მებრ სიღმრთოისა მოციქულისა პავლესსა, რო-მელი იტყვის: ძმანო დამორჩილენით წინამძ-

ღვართა თქვენთა და ერჩილთ მათ, რამეთუ იგი-ნი იღვძებენ სულთა თქვენთათვის. და ესეც უწყოდეთ, რამეთუ ყოველნივე ხელმწიფენი ღვთისაგან განწესებულ არიან, და რომელნი წინააღღებებიან ხელმწიფებასა, ღვთისა ბრძა-ნებასა წინააღღებებიან და წინააღღღომნი იგი ცოდვისა თავისა თვისისათვის შეიწყნარებენ, ხოლო ცოდვა იგი შობს სიკვდილსა სულიერ-სა. ამისთვისცა, რათა არა მოჰკვდეთ, იყვენით მორჩილნი, გაქვდინ სიყვარული და ამისთვის-ცა ღმერთი იმყოფებოდეს თქვენს შორის.“

იყავნ, იყავნ. ამინ!
ეპისკოპოსი ჯეონიდა.

არის თუ არა პროგრესი?

გაგრძელება*)

ბევრი ფიქრობს, რომ ცივილიზაცია და-იწყო ქრისტიანობის შემოსვლიდამ და აწერენ მას გამაცივილიზაციულვებელ მნიშვნელობას. ჩვენ ეს არ გვწამს. ქრისტეს რომ ქვეყანაზე ცივილიზაციის შემოტანა სდომებოდა, უნჯო-ბესი იქნებოდა დაბადებულები რომის იმპე-რიის მემკვიდრეთ. როგორც მთელი მსოფლიო სახელმწიფოს მბრძანებელს, მას შეეძლო ჩადე-გა პროგრესის საფუძველი მკვიდრ სამეფო შე-ნობის დაღვინებით, ჰუმანიურ კანონების შე-მოღებით, მონობის დაუყონებლივ მოსპობით, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველობით, ვაჭრობისა და მრეწველობის დახმარებით. რა ადვილი იქნებოდა მისთვის რამოდენიმე სიტ-ყვით ეჩვენებია ძალა ორთქლისა, ელექტრო-ნისა და სხვა, ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი ბუნების ძალები და მათი მოხმარების საშუა-ლება,

რა ადვილათ შეეძლო გადაეწყვიტა მას ყველა სოციალური საკითხები და მოესპო თვით ფიზიური ტანჯვაც რაციონალურ საე-ქიმო მეთოდის შემოღებით და საარსებო სა-შუალების სასწაულვებრივ განმრავლებით და სხ. ამას ადვილათ შეძლებდა, რადგან იგი

*) იხ. „შინ. საქ.“ № 21.

ღმერთია და ხელმძღვანელი მსოფლიო ისტორიისა და არა მისი „ნაყოფი“ როგორც ამბობენ ზოგიერთი „ქკუის კოლოფები“.

მაგრამ არაფერი ასეთი არ მომხდარა მეცნიერება და ხელოვნება, პოლიტიკა და კანონმდებლობა ქრისტიანთა განზე დასტოვა და უარყო ყოველი ჩარევა ადამიანთა ურთიერთშორის უფლებებზე დამოკიდებულებაში ამ სიტყვებით: „კაცო ვინ დამაყენა მე თქვენ მსაჯულთა“ მსოფლიო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინაშე მდგომარე, იგი პარდაპირ ამბობს: „ხელმწიფება ჩემი არა არს ამას სოფლისაგანა“.

რა სარგებელ არს კაცისათვის, მთელი სოფელი შეიძინოს და სული თვისი იხლეოოსო“, „აი ქეშმარიტ ქრისტიანულ პროგრესიის ძირითადი წერტილი. შეუფრდება კაცი ქრისტეს—აგი საკმაოთ მექონია ცივილიზაციისა; არ შეუფრდება—მას ვერ უშველის ვერც განათლება და ვერც ცივილიზაცია. მართლაც ცოტა ფიქრის შემდეგ არ შეგვიძლია იმ დასკვნამდის არ მივიდეთ, რომ თუ მთელი კაცობრიობა ქეშმარიტ ქრისტიანეთაგან შესდგებოდეს, მაშინ ხელოვნება, ვაჭრობა, მრეწველობა, მიმოსვლა ვერ მიადწევდენ იმ განვითარებას, რაც დღეს ვმჩნევთ. მცირე ცხოვრებით კმაყოფილი, მუდამ მარადისობისადმი ლტოლვარე, ქვეყნიერ ზრუნვის არ გამყოლი, კაცობრიობა ამდენ მნიშვნელობას ვერ მიაკუთნებდა ელექტრონით განათებას, ტელეფონს, ტელეგრაფს, რკინის გზებს და სხ., რამდენსაც დღე აკუთნებს. ქრისტიანობა, რა თქმა უნდა, არ აყვედრის—კაცს ხელოვნებით, მეცნიერებით, ვაჭრობა მრეწველობით ვარჯიშობას, მაგრამ იგი უკრძალავს მას იფიქროს, რომ მისი ქვეყნიური მოწოდება ასეთნაირ ვარჯიშობით განისაზღვრება. უფალი იესო ქრისტე ხომ ამბობს: „მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგან არსო.“

ზოგიერთები ცდილობენ დამტკიცონ, რომ თუ ჩვენი თანამედროვე ცივილიზაცია, ჩვენი მეცნიერება და ხელოვნება სრული შეიქმნა,—ეს მოხდა ქრისტეს მეოხებით. მაგრამ

ეს ბატონები თავის არგუმენტებით მხოლოდ ამცირებენ ქრისტიანობის სიღიადეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ მეცნიერება და ხელოვნება ქრისტიანებისა, მთელი დღევანდელი ქრისტიანობა იმდენათ უნდა აღემატებოდეს მას, რაც წინეთ იყო, რამდენათაც ქრისტიანული ქეშმარიტება მაღლა სდგას წარმართულ შეცდომებზე. ხოლო რომ ეს ასე არ არის ყველამ იცის: განა უშესანიშნავესი ქრისტიანების ტაძრები, მაგ. სობოროები ისააკისა, კელნისა, პეტრესი რომში იმდენათ აღემატებიან პართენონს, ეფესელ დიანას ტაძარს, დიდ დიდებულ ინდოეთის ტაძრებს, რამდენათაც ქრისტიანობა თავის მოძღვრების სიმართლით წარმართთა სარწმუნოებებს?!

რაფაელისა და მურილიოს სურათები არ წარმოადგენენ თავისთავად უკეთეს ხელოვნების ნაწარმოებს, ვიდრე ვენერა მედიციელისა ან აპოლონ ბელვედერელისა. მიქელ ანჯელოს „მოსე“ უკეთ გამოქანდაკებული არ არის, ვიდრე ფიდროსის „ზევისი“.

როცა ქრისტე თავის მოციქულებს საქადაგებლათ გზავნიდა, მას არ უთქვამს მათთვის, რომ მისი მოძღვრების ქადაგებით იგინი მთელ ქვეყნიერებას დაიპყრობდენ და დედამიწას ყოველივე გაუნჯობესებულ იარაღით საფსე ლაზობრატორიათ გადააქცევენ. წინააღმდეგ, იგი აგზავნიდა მათ, ვითარცა ცხვართა მგელთა მართ და ეუბნებოდა, რომ მათი გზა ეკლიანი იქნება, ბევრი შეიძულებს მათ და მწუხარებაში ჩააგდებს. არავინ უარს არ ჰყოფს, რომ მოციქულებმა კეთილი გავლენა იქონიეს, მაგრამ უმეცველია ამასთანავე ისიც, რომ მათი მიზანი სულაც არ ყოფილა ცივილიზაციის გავრცელება. ვინც კი ქრისტიანობის გავრცელების სახელით დაიწყებდენ სხვა მიზნების განხორციელებას, ასეთი კრუ განმანათლებლები უნდა გამომტყდარიყვნენ, რომ მათ ფებქვეშ ეცლებოდათ ცხოვრების საღვთო წყარო.

„ნუთუ ფიქრობთ, რომ ძე კაცისა, ოდეს მოვიდეს (მეორეთ), ჰპოვოს ქვეყნათ ქეშმარიტი სარწმუნოება? ეკითხება ქრისტე მოციქუ-

ლებს. ამ კითხვაზე იგი სხვაგან ისეთ პასუხს იძლევა: „როგორც წარღვნის წინ იყო: სჭამდენ, სმიდენ და იქორწინებდენ...“

მსოფლიო ისტორიის დასასრულის და პირველყოფილ ძალმომრეობით უსამართლობით სავსე ვეცნიერობის დაღუპვის შედარებით, ქრისტე უარს ჰყოფს კაცობრიობის წინსვლას—პროგრესს, რომელზედაც ბევრი იტყვობდნენ. ან რაღათ იწინასწარმეტყველა ქრისტემ საშინლ განსჯაზე ამ სოფლის დასასრულს, თუ კაცობრიობა წინ მიდის, ეთარდება და ითვისებს, ისინსხობორცებს ქრისტეს მცნებებს?

ბევრი იტყვის: ეს ძლიერ სამწუხარო შეხედულებააო. როგორ თუ კაცობრიობაში მხოლოდ ირგვლივ უნდა იტრიალოს, ერთ ადგილს ვერ გასცილდეს, ისე დაიქანცოს რამდენიმეთ გაუნჯობესებულ ცხოვრების ტყუილუბრალო მისწრაფებაში? ეს საშინელებაა!..

ამაზე ჩვენ ყველაზე უწინ ვიტყვი: „ღიან“!

მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამში? რა თქმა უნდა, არა ღმერთი. განა იგი გვიბრძანებს ჩვენ განუწყვეტლივ ვხოცოთ ერთი მეორე გამანადგურებელ ომებში, ვხარჯოთ ამისთვის მილიარდები, ეწვრთნათ მილიონი ახალგაზდა ჯანსაღი ყმაწვილები და ვავარჯიშოთ კაცის კვლაში? განა მას სურს, რომ კაცობრიობამ ანგარებით, მედიდურობით, და ფუქსავატობით დაიწლუნგოს მისწრაფება ქეშმარიტებისა და მშვენიერებისადმი? განა გვიჩვენებს იგი თავის სიტყვაში, რომ ჩვენ, რაც შეიძლება, ბუნების წინააღმდეგ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, ვაფნოთ ჩვენ და ჩვენი შვილების ტანმრთელობას და ვიფუქებდეთ და სხვებსაც ვუფუქებდეთ სიკოცხლეს გამწვავებულ ბრძოლაში კონკურენტით ყოველ მხარეში და ცხოვრების მიზნათ ვისახედეთ სარგებლობასა და გამორჩენას? წინააღმდეგ იგი, ღმერთი და მამა ყოველთა კაცთა გვიბრძანებს, გვიჩვენებს, რომ ჩვენ, როგორც თითოეული პირი, ისე მთელი ხალხები ვიყუნეთ მართალნი, არ ჩადიოდენ ბოროტებას, უყვარდეთ ერთი მეორე და აკურ-

თხედენ ურთიერთს და არა სწყევლიდენ, და ათასჯერ გვიბრძანებს, რომ იგი გვაკურთხებს ჩვენ უმაღლესად ვიდრე ჩვენ ვახოვთ და გვესმის; და განგვაშორებს ყოველ ბოროტს, საშინურებას, ავთმყოფობას, ქირს და ყოველ ვაებას.

და რომ ექვი არ გვეკონდეს მის შემძლებლობაში, იგი სარწმუნოთ გვეუბნება: ხელი ჩემი არ დამოკლდება, რომ არ მოგეხმაროთ, და მე არ დავკრუებულვარ თქვენი ლოცვისათვის, ხოლო თქვენი ბიწიერებანი განგვაშორებენ თქვენ ჩემგან და ცოდვანი თქვენნი ჰვარავენ თქვენგან პირსა ჩემსა, ასე რომ თქვენ არ იქნებით შესმენილი ჩემგან“—„მოიქცით ჩემდა, რადგან მოწყალე ვარ და რისხვა ჩემი არა არს დაუსრულებელი“.

ჩვენ რალს ვშვრებით? გვეონია, რომ ძალიან ქვეიანები ვართ და ფეიქრობთ, რომ დღევანდელ ჩვენ მეცნიერებისათვის არაფერია შეუძლებელი. არსებობის უზრუნველ ყოფა ჩვენ გვინდა არა ლოცვით, არამედ მხოლოდ და მარტო პურის ბაფით, სავაქრო ხელშეკრულობით, ზოლიტიკური ეკონომიით, სასოფლო მეურნეობის რაციონალურად დაყენებით; ქლექით სიკვდილიდგან ხსნას ვაპირებთ ანტიპერინით და სამკურნალო სითხეებით; ხალხის გაბედნიერებას—ბრძნული თხზულებებით; სოციალურ საკითხების გადაწყვეტას—გაზეთის სტატეებით; ვიწუნებთ ღვთის სიტყვას და გულდადებით ვიძებთ არის თუ არა საზოგადოთ ღმერთი. ჩვენ გვსურს ყველაფერში ჩვენი ძალღონით ვკმაყოფილდებოდეთ, მამ რაღდა უნდა გვიკვირდეს, თუ კაცობრიობის აზრები, ასეთ მიმართულებასთან არ გვემჩნევა არავითარი პროგრესი, არამედ წინააღმდეგ, განსაკუთრებით სოციალურ ცხოვრებაში, რეგრესიკი? როგორც სინათლისა და სითბოს ზრდა დედამიწაზე დამოკიდებულია მზესთან დაახლოვებაზე და მისგან დაშორებას კი მხოლოდ სიცივე და სიკვდილი მოაქვს, აგრეთვე კაცობრიობის ქეშმარიტი პროგრესი მდგომარეობს მხოლოდ მის ღმერთთან დაახლოვებაში. „რაც შეიძლება ახლოს ღმერთზე“—ამის შე-

ტი ფორმულა პროგრესისა არ არსებობს. წმ. ბიბლია არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რომ მეცნიერების და მრეწველობის მეოხებით ცრუ-მორწმუნებისაგან განთავისუფლებულ კაცობრიობისათვის, ქვეყნიერება გახდება ყოლიფრით შემკულ ოტელათ (სასტუმროთ), სადაც სულ მცირე ფასით ინახავენ მდგმურებს; აგრეთვე არაფერს ამბობს არც იმაზე, რომ რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ კაცობრიობა წელნელა დასტოვებს გაყინულ ბერლინს, პარიზს, ლონდონს და შეიკრიბება ეკვატორ ქვეშ, და ბოლოს აქაც დაიღუპება სიცხვის გამო.

მაგრამ ღმერთმა ყოველივე გაჩინა მიზნის შესაფერად და დასდვა საზღვარი არსებობისა ყველაფრისთვის, რაც კი მოიპოება მზის ქვეშ. დასდვა საზღვარი ექვემდებარებისთვის, წლის მცენარეთათვის, ცხოველთათვის ხეათვის და აგრეთვე კაცთათვის და მსოფლიო ისტორიისათვისაც. ამაზე განსაზღვრულათ უჩვენებს ქრისტე. წინასწარმეტყველება ამბობს, რომ შემდეგ ოთხი ს. მეფოისა აღარ იქნება არც ერთი სხვა სამეფო, არამედ დადგება სამეფო, რომელიც იქნება ს. მარადისო.

ეს მოხდება შემდეგ საშინელი განსჯისა, რომელიც აწერილია საღვთო განცხადებაში. ზოგიერთები ამბობენ, რომ საშინელი განსჯა არ ეთანხმება ღვთის მოწყობებას. მაგრამ განა აქ ღმერთია დამნაშავე? ათასი წლების განმავლობაში ადამიანები რათ ბილწავდნენ დედამიწას, რათ სვრიდნენ სისხლით თითოეულ იქმდებარე ქვას და ავსებდნენ ქვეყანას სიმძულვარით, ბოროტებით და უწმინდურობით? ასეთი დანაშაულობა მისაგებელს მოითხოვს. და როცა მოახლოვდება დედამიწის უკანასკნელი დღე შეიქნება გრგვინვა ღვთის სამართლიანი რისხვისა, მენი დასთრგუნის მის კადნაერ მტრებს, და მიწა, და ყოველი მას ზედა. შესძრწუნდება წინაშე თავის გამჩენის რისხვისა.

გარნა მცნებათა მისთა აღმასრულებლებს, იგი მოწყობებით მოუწოდს და განხდება მათში აღტყინებული საგალობელი ამოცების უღლისგან განთავისუფლებულ ქმნილებისა, რომ

მელსაც ბანს მისცემენ სფეროები თავის მგრგვინავი გალობით, განხდება დიდებული „Te Deum laudamus!“ (შენ ღმერთსა გაქებთ.)

„დაუსრულებელი სიხარული იქნება ხვედარი რჩეულთა ღვთისათა, რამეთუ ღმერთი მოსწმენდს, ყოველ ცრემლს თვალთა მათთაგან, და სიკდილი აღარ იქნება უკვე; არც ტირილი, არც სულთქმა, არც ავთმყოფობა უკვე აღარ იქნება“ (აპოკ. XXI, 4). ქეშმარიტათ მაშინ დაიწყება სხვა ცხოვრება, სადაც არ იქნება არცა ძვირი, არცა შური, არცა ცილის წამება, არცა ზკვა, არცა მოხუცებულობის მიხრწნილობა, არცა სიყმაწვილის უღონობა, არცა სიღარიბე, არცა ბოროტ განზრახვა, არცა ჩხუბი; ყოველივე ესე განქრება ვითარცა მტვერი, რომელ აღგავის ქარმან პირისაგან ქვეყანისა და დაიწყება უკეთესი ცხოვრება. „და იქმნება ღმერთი ყოველთა ყოველსა შინა“ (1 კორ. XV, 28).

და ამ ზომამდის მიგვიყვანს მხოლოდ პროგრესი ქეშმარიტი, პროგრესი ქრისტიანული. (და! ასრული).

არხივისკოპოსის საეკლესიო კრების შეხახვა.

არხივისკოპოსს ანტონი ვოლინელს ულაპარაკნია გაზ. „Рѣчь“-ის თანამშრომელ ს. ვოსტოკოვთან რუსეთში პატრიარქობის აღდგენის საქიროების შესახებ.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ეკლესიის განახლებაზე, რომ ჩვენ ეკლესიას ეკირება ძირითადი გადახალისება; მაგრამ განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ. ყველა ესეები, უეჭველია, კარგია. მაგრამ ყველა ამ წერაში და ლაპარაკებში ავიწყდებათ უმთავრესი საფუძველი ეკლესიის განახლებისა—პატრიარქობის აღდგენა. ეს, ჩემი ღრმა რწმენათ, თვით უმთავრესი საკითხია, განსაკუთრებით შიტომ, რომ მხოლოდ პატრიარქობის აღდგენით შეგვიძლია დავიბრუნოთ მართლმადიდებელ ეკლესიის წესწყობილების ყველა დანარჩენი საფუძველნი, რომელნიც რუსეთის ეკლესიამ კაი

ხანია დაჰკარგა. უარს ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს, რომ რუსთა საშუალო სწავლების ხნე-ჩვეულება და ყველა საეკლესიო მართვა-გამგეობის კანონიკურ საფუძველთა შერყევა—ყველა დამახინჯება მართლმადიდებლობისა პატრიარქობის დამხობიდან დაიწყო. პატრიარქობა სრულებით არ მოსპობილა იმ ტრუ საბუთების გამო, რომელიც მოყვანილია პეტრე დიდის რეგლამენტში, არამედ მიტომ, რომ ჩამოეშორებიათ უმთავრესი დაშკველი საეკლესიო წესწყობილებისა, რომელიც ვერ შეუთანხმდა ახალი ცხოვრების წარმართულ წყობილებას. და, რასაკვირველია, დღეს მეტია რაიმე საეკლესიო კრებაზე ლაპარაკი, სანამ პატრიარქობა არ იქნება აღდგენილი.

დამციკებული მდგომარეობის მოთმენა რუსეთის ეკლესიისა, რომელიც დღეს მიცემულია ერისკაც-ჩინოვნიკის სრულ განკარგულებაში, შეუძლებელი გახდა. უნჯობესია პატრიარქის პატონობის (დესპოტიის) დათმენა, ვიდრე საერო ობერპროკურორებისა.

ბევრმა არ იცის, რომ დანიშნა უწ. სინოდის წევრებისა, ამა თუ იმ პირების მოწვევა სინოდის საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ, დამოკიდებულია მხოლოდ და მარტოსინოდის ობერპროკურორზე: უწ. სინოდს ამის შესახებ არც კი ეკითხებაან. ამნაირათვე წარმოებს ეპისკოპოსების დაჯილდოება ვარსკვლავებითა და არხიეპისკოპოსის ხარისხით.

თავისთავად ცხადია, რომ კანონთა დებულებაში თქვენ ამას ვერ შეხედებით, რომ ქალღმერთი ყველა ესეები განსაზღვრულია, როგორც პირდაპირი განკარგულება ხელმწიფე იმპერატორისა, მაგრამ სინოდს ლუბის კანონმდებლობა პეტრე დიდის დაწესებული მხოლოდ მით განიჩევა, რომ აქ განძრახ არაფერი დასრულებული არ არის ან გადაჭარბებულია, მიტომ რომ შეუძლებელია ეკლესიის დამონების ასე ცხადთა და პირდაპირ დაკანონება, იმ ეკლესიის, რომელიც მთავარ ეკლესიით ითვლება კანონმდებლობაში.

ამნაირათ რუსეთის ეკლესიას ყავს ერთადერთი თვითმმართველი, და მასთან უფრო მეტი

უფლებამოსილი, ვიდრე პატრიარქი, რომელიც ყოველთვის შეზღუდულია საეკლესიო კრებით. მაგრამ ეს მმართველი არის უბრალო ერისკაცი. (Утр. P. № 165).

ფრანგული ნათლისღება.

ჩვენ გამოცემაში აღნიშნული გვერდით, რომ საფრანგეთში და განსაკუთრებით პარიზში, ამ მოდის დაუღვენელ ზღვაში, შემოიღეს სამოქალაქო ნათლისღება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: სამოქალაქო ქორწინებასა სამოქალაქო ნათლისღება უნდა მოყოლოდა და ასეც მოხდა. დღეს საფრანგეთის ქალაქებში ხშირია ასეთი ნათლისღება, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალი შემოღება კანონათ გადაქცეულიყოს.

ებლა გაზ. «Petit Parisien» გადმოგვცემს, რომ ასეთი აღათი დებუტატ კონტანის წყალობით იერაში და განსაკუთრებით ლიმარტის სამშობლო მაკონაში შემოუღლიათ. სამოქალაქო ნათლისღებას, თითქმის სრულიად გაუღვენინა საეკლესიო ნათლისღება. ნათლისღების ცერემონია ასეთია თურმე: სამეროში (მერის, ქალაქის ან ოლქის მოურავის სამართველოში) შემოჰყავთ მოსანათლავი ბავშვი; აქ მერი ჩასწერს მას სათანადო წიგნში მშობლების და მიმქმელების თან დასწრებით. მერმე მერი წაიკითხავს შემდეგ საინტერესო ფორმულას, რომლის პირს შემდეგ მშობლებს გადასცემს: „სამოქალაქო ნათლისღება: მარიამ ფილიბერტი, ასული ბ-ნი მ-სა, შეიტკობა სულით თავისუფალთა ოჯახში, რომლებმაც უარჰყვეს რელიგიური ღოგმები. მიმქმელების დასწრებით განათლავ მე, სხელმწიფო მოხელე პირი, შენ სახელითა თავისუფალ აზროვნების საზოგადო პრინციპებისათა, სახელითა 1789 წლის დიდებული რევოლიუციისათა, რომელმაც შექმნა უფლებრივი თავისუფლება ადამიანისა და მოქალაქისა, სახელითა მსოფლიო დემოკრატიულ რესპუბლიკისათა. მე განათლავ შენ და გაძლევ შემდეგ სამ მცნებას, რომელთა უეჭველად აღსრულებისათვის შენ მიერ უნდა ზრუნავდენ

შენი მიმქმენი, რომლებიც აქვე დგანან, როგორც მოწმენი. პირველი: შენ პატივსცემ შენს სამშობლოს, შენ მამას და შენ დღას, შენ გვეყარება იგინი და ემსახურები მათ. მეორე: მთელ შენ ძალღონეს შესწირავ ქვეყანების და სიმაღლის სამსახურს. მესამე: ყველაფერზე უფრო შენ უნდა გეშინოდეს, რომ არ იქნე უსამართლო შენ მოძმეთადმი. ეხლა კი, მოქალაქე, მარიამ ფილიბერტის ასულო, მე გაბრუნებ შენ მშობლებთან, მიუტანე მათ სიხარული და იცხოვრე მშვიდობით.“ შემდეგ ხელს აწერენ მშობლები და ნათლიები, მერი ბეჭედს ასვამს.

რამოდენი სირვეგნე იხატება მთელ ამ მოქმედებაში! ასეთი ადამიანი რომ ველურებს უნახოთ სიცილიათ არ გვეყოფა, მაგრამ განათლებულ საფრანგეთს ყველაფერი ეპატიება! ნეტა ვიცოდეთ, სანამდის ივლის საფრანგეთი ამ გაღვსილ თავდადმართზე?!...

„გულისხვან კამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი: კაცისკვლანი, მრუშებანი, სიძვანი, ჰარვანი, ცილისწამებანი, გმობანი“ (მათე 15, 19).

გული, საღმრთო წერილის სიტყვით, არის საუნჯე კეთილთა, გინა ბოროტთა განზრახვათა, გრძობათა, სიტყვათა და საქმეთა. გულში აღორძინდებიან სხვა-და-სხვა გვარნი სურვილნი და განზრახვანი; მასში ჩაისახება და დაიბადება ადამიანის გაბედულობა ამა თუ იმ საქციელზედ, ამა თუ იმ დანაშაულობაზედ. იმაში არის კვარცხლბეკი ნებისა და მისთა სურვილთა. ამიტომაც ადვილი გასაგებია, თუ საღმრთო წერილი რათ ეძახის გულს საუნჯეს და ამბობს: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღოს კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღოს ბოროტი“ (ლუკა 6, 45).

როდესაც მაცხოვარი ჩვენი ამბობს: „გულისაგან გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტ-

ნი, კაცის-კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, ჰარვანი, ცილისწამებანი, გმობანი“ (მათე 15, 19), აქ ის პირველს ალაგას აუენებს ბოროტთა განზრახვათა, მათ შემდეგ კი ბოროტთა საქმეთა. ეს ადვილი გასაგებიც არის, რადგან ჩვენი შინაგანი განზრახვანი უფრო საშიში არიან, ვიდრე აშკარანი ცოდვანი—დანაშაულობანი. მართლაც, ჩვენი შინაგანი გულის სიტყვანი მოქმედებენ თავისუფლად: გულიდგან გადადიან კაცის გონებასა და ნებაზედ; იმათი მოქმედება ხდება სხვისაგან შეუმჩნეველად. ამ შემთხვევაში ჩვენ ხშირათ ვფიქრობთ და ვამბობთ, რომ ეგ გულის თქმათა უბრალო თამაშია და გართობაო. მაგრამ ძლიერ ვსცდებით: ეს არის უუსაშინელესი თამაშობა. ისა ზრდის ვნებათა და ავარჯიშებს გულის თქმათა, უადვილებს მათ გამარჯვებასა და უკაფავს გზას დიდ დანაშაულობათა ჩასადენად, რომლებიც სისრულეში მოყვანას ხანდისხან წინ გადაელობებიან და ხელს შეუშლიან გარეშე გარემოებანი.

რამდენად გამრავლდებოდნენ ბოროტებანი და დანაშაულობანი ქვეყანაზედ, რომ ჩვენს გულის ლტოლვილებათა შესრულებას ხელს არ უშლიდეს სხვა-და-სხვა გარეგანი შემთხვევა! მაშინ კაცის კვლა ისეთივე ხშირი იქნება, როგორც ხშირია შური და სხვა გულის აღმძვრელნი თვისებანი...

მაშასადამე საჭიროა ზნეობრივი სიტუაქიზე მივიღოთ და ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა უნდა განვიწმინდოთ გული, რაიც შეიძლება მხოლოდ ზნეობრივი თვით-აღზრდით, თვითცნობიერებით, საქმიანობით...

ქრისტიანულ თვით აღზრდის უმთავრეს იარაღად უნდა ჩაითვალოს ლოცვა, რომელიც აერთებს კაცს ღმერთთან, აღმაღლებს მისს სულსა და გონებას, განსწმენდს—განასპეტაკებს მას ყოველივე ცუდისაგან და ანიჭებს მას ძალას კეთილის სამოქმედოთ. ლოცვასთან უნდა შეერთებულ იქმნეს საღმრთო წერილის კითხვა, შეტადრე სახარებისა. მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ეხლანდელს დროში ლოცვასა და საღმრთო წერილის კითხვას არავინ არ მის-

დევს; ამავ სენით არის შეპყრობილი ჩვენი სამღვდლოებაც, რომლის მეტი ნაწილი თავის მოვალეობასა ხედავს მხოლოდ მწუხრისა, ცისკრისა და წირვის „ოფიციალურად“ შესრულებაში. ძვირათ თუ შეხედებით მღვდლის ოჯახში ბიბლიასა და კერძოდ სახარებასა და თუ შეხედებით, კუნჭულში მიგდებულს, მტვერისაგან შექმულს.

რის შედეგია სამღვდლოთა შორის შუარიანობა, მოქალაქობრივი გაბედულობის უქონლობა, ბეზღობა, უსახელო წერილების წერა და არა საკადრისნი ქცევანი და გულის სიტყვანი ბოროტნი, თუ არა ზნეობრივად თვით აღზრდის უქონლობისა და მისგან წარმომდგარ დაქვეითებისა!

ამიტომაც საცოდავია ის მღვდელი, გინა საეკლესიო მოსამსახურე, რომელიც ამა ქვეყნის სიყალბეს ოდნავათაც ვერ დაშორებია და სახარების ძალას მასზედ არავითარი ზედგავლენა არა ჰქონია!..

საჭიროა ქრისტიანული საქმიანობა, ანუ ძებნა სასუფეველისა ღვთისა და სიმაართლისა მისისა და დამყარება ამა „სასუფეველისა ღვთისა“ ქვეყანაზედ, რადგან მაცხოვარი ბრძანებს: „სასუფეველი ღვთისა შორის თქვენსა არს“ (მათე 17, 21). ხოლო ქვეყანაზედ სასუფეველის დამყარება იგივეა, რაც თავის-თავის ზნეობრივად განსპეტაკება და სრულ ყოფა.

მაგრამ „სასუფეველი ცაა“ სახარების სიტყვით იძულების (ძალით აიღებს), და რომელი იძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგია, ესე იგი ღვთის სასუფეველი დამყარების კაცთაგან, მხოლოდ არა ერთბაშად, არამედ თანდა-თანობით მადლიონის შრომით და ქვეყანაზედ სიკეთის მოფენით..

ეს ყოველივე-კი უბირველესად ჩვენ, მოძღვართა, მოვალეობას შეადგენს..

განვალვიძოთ გულში სარწმუნოება, განვაცხოველოთ სასოება, განვალვიძოთ გული ცეცხლითა სიყვარულისათა ღვთისადმი და მაშინ დამყარდება ჩვენ შორის სასუფეველი ღვთისა.

ცხოვრება, მართალია, ბევრს დაბრკოლებ-

ბას იძლევა ამის შესასრულებლად, მაგრამ ამისდა მიუხედავად ჩვენ მედგრად უნდა ვეძიბდეთ იმას, ურომლისოდაც ჩვენ ხულოიერად მკედარნი ვართ, და რომლისაგანაც მოვირეთ ჩვენ არა მარტო სწავლა, არამედ ცხოვრებაცა.. სახარება ამბობს: „მადლი და კეთილმეტეა ქრისტე იესოს მიერ იქმნა“ (იოანე 1, 17).

ბჭად. ძღვდ. ი. მარკიანა.

P. S. ზემორე წერებული მიიღონ ჩემგან ზოგიერთებმა ნაცვლათ იმ უსახელო წერილებისა, რომლებსაც ისინი აწვდიან მთავრობას ჩვენდა დასამცდრებლად და თან მიუყვებთ: „და განეშორენ სიკრუსაგან ყოველი, რომელი სახელს სდებდეს სახელსა უფლისასა“ (ბ. ტიმ. 2.)

ბჭად. მარკიანა.

უაჭირულება.

თფილისის საპატია მოქალაქემ მიხეილ მათეს ძე სხირტლადემ თავისი საკუთრებიდგან გადასდვა მრავალძლის საეკლესიო სკოლის ხელუხლებელ თანხათ ასი თუმანი (1000 მ.), რომლის ყოველ წლიური სარგებელი მოხმარდება ზემოხსენებული სკოლის ღარიბ მოსწავლეთა საჭიროებას. ამ უხვი შეწირულებისათვის გამგეობა სკოლისა და მთელი ადგილობრივი საზოგადოება დიდ და განუსაზღვრელს მადლობას უცხადებს მიხეილ მათეს ძეს სხირტლადეს და ირჩევს მას ამ სკოლის მზრუნველად.

კამგე მდ. მარკოზ სხირტლადე.

სიტყვა მუშა ბრ. ი. შახნაზაროშისა.

დავით სარაჯიშვილის ცხედრის წინ.

ჩვენთვის მეტად ძვირფასო, მუდამ მოძრავო და მომქმედო, აწ კი სამარადისოდ დაღუმებულო, პატივცემულო დავით ზაქარიას ძე!

მე, შენი მეორე ქარხნის მუშათა მონღობილობით, ვესალმები შენს გაციებულს გვამს. მათვე დამავალეს ამ უქანასქნელი გა-

მოსაღმების დღეს, საქვეყნოთ, ყველასათვის გასაგონათ, მაღლობა გამოგიცხადო იმ სამაგალითო განწყობილების გამო, რომელიც შენ შექმენი შენსა და ჩვენს, შენს მუშებს შორის. შენ ყოველთვის თანაგრძნობით ეგებებოდი ჩვენს მოთხოვნილებებს. შენ სხვა მეპატრონესავე, არა-ადამიანებათ არა გვთვლიდი, შენ სიამოვნებით მიიღე ჩვენი წინადადება, როცა მოვითხოვდით, ქარხანაში სამუშაო დროთ ცხრა საათის შემოღებას. შენ იმის მეტი არაფერი გითქვამს, რომ თუ ნორმალური დასვენება გინდათ, ეგ ნორმალური არ არის, ამის შემდეგ შენ ტელეფონით მოახდინე განკარგულება, რომ მ. საათის სამუშაო დრო ყოფილიყო შემოღებული. შენ პირველმა დაგვიტოვე ორი კვირით დასვენება ჯამაგირის შენახვით, და ალტაცებით შეჰხვდით, როცა ჩვენ საშვებულს დაარსება მოვითხოვეთ შენგან შენს ქარხანაში და ამისთვის ყოველივე ხარჯები სიამოვნებით იკისრე.

დღეს ჩვენთვის აშკარა არის, ძვირფასო დ. ზ., რომ შენ ასეთი კეთილი და გულ-უხვი ადამიანი მართა ჩვენთან კი არ ყოფილხარ, არამედ დღეს შენი დაკრძალვა მოწმობს, რომ ჩვენი მუდამ ტანჯული ერის გულ-შემატყვიარიც ყოფილხარ. შენს გარშემო არის შემოკრებილი შენი მადლიერის ერის ყოველ კუთხიდან მოსული წარმომადგენელი. განსაკუთრებით მადლიერი არის შენი, და დიდათ დამწუხრებულნი მუდამ კირში და ლხინში ჩვენთან, მუშებთან, მყოფი შენი ნაცნობ-მეგობარი, ინტელიგენცია.

შენი დაკარგვით დაღონებულნი შენი მუშები, ტირილს ვერ ვახერხებთ, და ეს არც არს, თავის ბედის საკუთარის ხელით მქედავი მუშის ხელობა. ვიცით არც შენ მოგვთხოვ ამას.

ახლა კი უკანასკნელად გემშვიდობებით, ჩვენო უძვირფასესო ადამიანო, და სამაგალითო შემპატრონე, შენ ჩაპნერგე ჩვენს გულში შენდავი პატრიისცემა და სიყვარული, რის გამოც შენი სახელი დაუვიწყარი იქნება ყველა შენით მადლიერ მუშათა შორის. მშვიდობით!

კრიტიკული დასასიათება.
(ზღაგუხი-კარის ისტორია „ერკმან-შატრანისა. თარგ. ივ. შაგვარანისა.)

II.

(დასასრული. *)

ერკმანი დაიბადა და აღიზარდა ფალსაბურგში; მან შეისწავლა პარიზში იურისპრუდენცია, მერე იქდან დაბრუნდა თვის სამშობლო ქალაქში, სადაც მცხოვრებნი ნემენცურად ლაპარაკობენ. ოთხი წლით იმაზე უნცროსი შატრანიც ფალსბურგის სასწავლებელში იყო მასწავლებლად და იგინი აქ გაეცვენენ, დაუმეგობრდნენ ერთმანეთს, რომ წყნარად და მშვიდობიანად, მოსვენებით ემაცადინათ, ეშრომათ და ეცხოვრათ. აქ ისინი ძალიან დამეგობრდნენ და ერთი მეორეს დიდი ძმობა და თანამშრომლობა გაუწიეს.

იმათ ძალიან კარგად გაიცვენეს და შეისწავლეს გარე შემორტყმული მთელი არემარე, ყოფა-ცხოვრება და დაიწყეს ერთად, ძმურად ლიტერატურაშიაც წერა და მუშაობა. მალე გაითქვეს დიდი სახელიც. ერკმან-შატრანიში წერენ ფრანგულ ენაზე, მაგრამ იმათ ნაწერებს ეტყობა გერმანიის ლიტერატურის გავლენა, ნამეტურ ნემენცების მწერალის გოფმანის ზედ-მოქმედება.

ერკმან-შატრანი, ხომ განთქმულნი, შესანიშნავი პატრიოტები და ბელეტრისტები რიან საფრანგეთისა, რომელნიც მამათ მთავარი შეიქნენ ამ ჩვენი დროის შოვინისტებისა, გულით და სულით ცდილობდნენ ნემენცური რომანტიზმის ახალი ნაკადული გადმოეტანათ საფრანგეთის ნიადაგზე. შემდეგში კი იხინი დაადგენ სრულიად დამოუკიდებელ, საკუთარ გზას ლიტერატურაში და ზედ მიწვევით, დრმად შეისწავლეს ისტორია საფრანგეთისა, მისი ტრაგიზმით სავსე ცხოვრების ავი და კარგი და, რაკი ორივე მწერლებს ძალიან დიდი დაკვირვების ცოცხალი ნიჭი ჰქონდათ, დიდი, გასაოცარი სამხატვრო ნაწარმოები შეს-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 21.

ძღვნეს ლიტერატურას. ეს ორივე სიკვდილამდე განუყრელი დიდი მეგობარი შემდეგ პარიზში გადასახლდნენ და იქ ცხოვრობდნენ ურიცხვ იმათი ტალანტის ღრმად პატივის მცემელთა შორის...

თანამედროვე ფრანკულთა მთავრის, რომელიც ელზას-ლორენს თელიან და მიაჩნიათ თვისი უძვირფასესი, უსაყვარლესი ქვეყნის ნაწილად, სრულიად არაფერიც არ არის ის გარემოება, რომ იმათი განთქმული ელზასელი დიდი მწერალნი ფრანგულ სულს დაშორებულნი არიან. ერკმან-შატრიანიმა გააცხოველა, ამოძრავა ფრანგების გული და ნერვები. იმათ ენერგიულად შეიტანეს ფრანგულ ახალს ლიტერატურაში ახალი, ჯერ არ ნახული დიდი ნიქეფარე ნაკადული, რომელიც დიდ-დიდსოფლიო, საპოლიტიკო ამბებს ეტანება და ხატავს მთელის სივრცე სივანით.

ერკმან-შატრიანის მოთხრობების მდიდარი შინაარსისა პირველი და მეორე იმპერიის გულის შემზარავი ომები, რევოლუციის წინა დრონი, გარეშე სახელმწიფოების ჩარაზმულ ჯარების თქარა-თქურით შემოსევა მრავალ ტანჯულ საფრანგეთში, ელზასელი მთიულეების თავ-დადებული, გმირული ბრძოლა, მერე კიდევ შემდეგი დროის ამბები, 1848 წლის რევოლუცია, პლემისციტი და ელზასის დაღუპვის წინა დროები... ამ ამბავთა ისტორია-მოთხრობებში ბრმა პატრიოტობა ფრანკულთა, რომელთაც ქვეყნად გაულმერთებიათ ნაპოლეონი, არსად არ არის შექმნილი, პირიქით გაკაცებულიც არის. აქ დაინტერესებული მკითხველის თვალის წინ სარკესავით იშლება მხოლოდ და მარტო მრავალ-ფეროვანი, მრავალ-ხასიათის ამბების სინამდვილე და პირწმინდათ, მხატვრულად ხატავენ ყოველიფურს და ყველას, რასაც და ვისაც რაიმე არსებითი კავშირი ჰქონიათ ელზასთან.

ერკმან-შატრიანის მოთხრობანი, მთელი ნაწარმოებნი ნაპოლეონის იმპერიის სისაძაგლეს და ვერაგობას ააშკარავენ, ომების თავზარდაშემს საშინელებას ებრძვის და უარ-ყოფს მას ყოველ ფეხის გადადგმაზე. აქ არის დახა-

ტული მშრომელი ხალხი, რომელსაც უქმად ყოფნა, მკონ-რეობა სიკვდილად მიაჩნია და თვის მსგავს არსებას დახმარებას უწევს მუდამ გულწრფელად და უანგაროდ. ეს მშრომელი, ბეჯითი და ნიჭიერი ხალხი შეთვისებია თვის კუთხე-ყურეს, კერიას, სოფელ-ქვეყანას, ნათესაობას და მთელი თვისი ყოველდღიური ცხოვრება, საესე ტრაგიზმით და სიყვარულის ამგზნები ენტუზიაზმით, გარდმ-ცემებით, უტკბილესი მოგონებანი და საესე მეგობრობის წმინდა გრძნობებით ძლიერად შეყვარებია ისე, როგორც წარსულიც თვისი ქვეყნისა, რომელიც საესეა დიდი, გულის წარმტაცი პოეზიითა, გასაოცარის ვაჟკაცობის მაღალი სულთვანობით და გმირობით. და, აი, ამ იდილით საესე ცხოვრებას, ამ ბედნიერებას და ქვეყნიურს სიტკბობებს ვიწრო თავმოყვარეობით გაფლენილი ადამიანები ომების სისხლის ღელეებში აღრჩობენ და სპობენ ისე უგანურად, ისე უგანაჩენოთ, რომ არც ერთი ტყის ნადირი ამ-ს არ ჩაიდენდა არასოდეს...

ავტორებს თავიანთ ნაწერებში წინ წამოყენებული, და მხატვრულად დახატული აქვთ ფრანკულთა იდ-ლიური მხარე, ცხოვრების მრავალ-ფეროვანი წვრილმანი მომენტები, ნაციონალური ხასიათები და ყველა ესენი ერთიანს დასრულებულს ტიპებში არიან გამოქანდაკებულნი და ამ ნაწერებით დასახლებულნი მწერალნი ამდიდრებენ ფრანგულ ლიტერატურას... ისტორიული ელემენტი, ე. ი., თითონ ომების, რევოლუციების და ამ ამბების შემზადება, მარაგი ხალხის ტვინსა და გონებაში დიდს, საოცარს ინტერესს წარმოადგენენ. არ ამოვწერ აღგილებს ნაწერებიდან ჩემი აზრების საილიუსტრაციოთ, რომ სტატია არ ვამიქიანურდეს და, დასასრულ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ერკმან-შატრიანის მთელს ნაწერებში, კრიტიკოსების სიტყვით, ყველაზე უფრო ცოცხლად დახატულია, ნამდვილის დაკვირვებითა და დიდის უბრალოებით დაწერილია «პლემისციტის ისტორია» და «გლეხიკაცის ისტორია».

ხომლედი.

ს. მუხურა

(შორაპნის მარა).

იმერეთის როველი კუთხიდანაც არ უნდა გამოიხედოთ ჩვენის სოფლისაკენ, პირველათ თქვენ დაინახავთ მაღალი მთის მწვერვალს, რომელსაც აქ თავშეფს ეძახიან. ეს სახელი, აღბათ, იმიტომ დაურქმევიათ იმისათვის, რომ იმისი მწვერვალთ თითქმის ნიადაგ შემოსილი არის შავი ღრუბლებით. ჩვენი წინაპრები, აღბათ, იმიტომ ჰქვირობდნენ ძველათ, რომ წმიდა ილია ღრუბელთა წინამძღვარს თავისი ბინა აქა აქვს და აქედან ჰგზავნის სხვა და სხვა ადგილებში ღრუბლებსო. ამ წმიდანის სადიდებლათ იქ ძველ დროში ტაძარიც კი აუშენებიათ, რომლისაც ეხლა მხოლოდ ნანგრევებია არის დარჩენილი. ამ ნანგრევებზე წელიწადში ერთხელ, ოც ივლისს, ილიობას დღეს, იკრიბებიან ბევრი მლოცველები, რომლებსაც სასწაულზე მიაქვთ შესაწირავები. აქვე ამოდიან მახლობელი მცხოვრებნი გვალვიან წლებში და წვიმის მოსვლას ევედრებიან ილია ღრუბელთა წინამძღვარს. საზოგადოთ კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ სოფელში გვალვა უფრო იშვიათია, ვიდრე სხვაგან, იმიტომ რომ მთის მწვერვალთ შორიდგანვე იზიდავს ეუყუნა წვიმას, და მით ხელს უწყობს მოსავალსა. სხვეთაც ამ მთას დიდი გავლენა აქვს ჩვენ სოფელზე: წყაროები და მდინარეები, რომლებიც ასე უხვათ რწყავენ ჩვენ სოფელს, აქ იღებენ თავის დასაწყისს, აგრეთვე საბალახოები, სადაც უმწყემსოთ სძოვენ მთელი სოფლის საქონლები, გაშლილი არიან ამ მთის ფერდობებზე და ტყეც, რომლითაც განთქმულია მუხურა მახლობელ ადგილებში, უხვათ იზრდება ამ მთაზედღე. მაგრამ ხალხი ძალიან უმამკინოთ ჰქიდა ამ ბუნებისაგან მონიკებულ სიმდიდრეს: გული გვესებათ სიბრალულთ, რომდესაც ჰხედავთ კაცის ხელისაგან უმიზნოთ წაქცეულ ას წლოვან ხეებს, რომლებიც ისე ღებებიან, რომ არავისთვის სარგებლობა არ მოაქვსთ. შივე დროს სკრიან იქვე ღიტან ხეებს და ამითგან აკეთებენ შალს, ბოკის ყავარს

და სხვას, რომლებსაც მერმეთ ისე მუქათთ ჰყიდიან, რომ ჰატრონი დღის ქირასაც ვერ ირჩენს და ხე კი სულ მუქათთ იკარგება. არ უნდა გვაფიწყდებოდეს, რომ ამ ტყის მოსპობით ჩვენში მდინარეებც ან სულ დაშრებიან და ან, თუ არ დაშრენ, ისე მაინც დაპატარავდებიან, რომ იმდენ სარგებლობას ვეღარ მოგვიტანენ, რამდენიც ახლა მოაქვსთ. ძალიან სასიამოვნო იქნება აგრეთვე, თუ მცხოვრებლები იმდენ შენგებას გამოიჩენენ, რომ შეაკავონ ამ მთაზე მყოფი ძველებური ტაძრის ნანგრევი, რომ იგი უფრო სუფრათ იქნეს დატული, ვიდრე დღეს არის.

ემანუილ.

თეკლათის დედათა მონასტრის ახალი ილუმენია დედა ნინო.

კვირას, 24 ივლისს, გურია-სამეგრელოს მღვდელთმთავარმა ლეონიძემ ილუმენიად აკურთხა თეკლათის დედათა მონასტრის ახალი წინამძღვარი მონაზონი ნინო. ეს პირველი შემთხვევაა ქართველ დედათა მონასტრების ცხოვრებაში, რომ უმფროსად ინიშნება სწავლა დამთავრებული და მონასტრული ცხოვრების შეინებულად მცოდნე პირი.

ახლად ნაკურთხი ილუმენია ნინო არის თბილისის გუბერნიაში კარგად ცნობილი თავადის დავით ვაჩნაძის ასული. პირველდაწყებითი სწავლა მან მიიღო ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის სასწავლებელში, შემდეგ კარგა ხანს ივარჯიშა რუსეთში პედაგოგიურ კურსებზე და ბოლოს დანიშნულ იქნა მასწავლებლად ბოდბისავე სასწავლებელში. ელენე ვაჩნაძის ქალი, — ასე ეძახდნენ ერობაში ეხლანდელ ილუმენია ნინოს, — სულ მოკლე დროში საერთო სათაყვანო პიროვნებად შეიქმნა მოსწავლეებისათვის. თავისი აღერსიანი და გულმტკიცეულობით გამსჭვლული მოპყრობით, გაკეთილების მეტად მარტივი და ადვილი გადაცემის ნიჭით, მასწავლებელმა ქალმა ვაჩნაძემ სრულებით გადაახალისა, გამოაცოცხლა და სწავლის შექმნის გაუქრობელი აღით მოიცვა ნორჩი მოსწავლეების ბუნება.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პედაგოგი დასწრებიყოს ხსენებული მასწავლებელი ქალის გაკვეთილებს და ალტაცებაში არ მოეყვანოს მის პედაგოგიურ შეგნება-გამოცდილებას.

ელენე ვაჩნაძის ქალს, თუ შეტად არა, მოსწავლეებზე არა ნაკლებ აფასებდნენ და პატივსაცემად აგრეთვე ბოდბის მონასტრის მოლოზნებიც.

ყველა გაქირავებული, დაზარალებული, გულნატკენი, ვარამ-დარდში და რყევა-ეჭვში მყოფი ელენესკენ მიემზრებოდა, ელენეს ვიწრო სენაკში იხსნიდა გულზე მოწოლილ ტვირთს, ელენეს უტოვებდა თავის მწუხარებას, ელენესთან პოულობდა გამკურნებელ მაღამოს, და, ელენეს ადამიანური მოპყრობით გამხრევებულ-დამშვიდებულ, ხელახლა უდარდელად განაგრძობდა სამორჩილო საქმეებს.

ადვილი წარმოსადგენია, რა მწუხარებით და ცრემლთაფრქვევით ეთხოვებოდნენ ელენეს ბოდბის მონასტერში მყოფნი ამ ერთი წლის წინეთ, როდესაც ელენე გამოემგზავრა თეკლათის მონასტერში საცხოვრებლად.

საქართველოს ყველა კუთხესთან შედარებით განსაკუთრებით სამეგრელოსა სჭირია რიგანათ დაყენებული დედათა მონასტერი. თანამედროვე ცხოვრების უკუღმართი პირობების გამო სამეგრელოში არამც თუ დაბალ ხალხში, საშუალო წოდებაშიაც კი ნაკლებად ზრუნავს ეინზე ქალიშვილის სწავლა-აღზრდაზე; ქალიშვილს მხოლოდ აქმევენ, ასმევენ, ტანთ ჩააცმევენ და ბოლოს გაათხოვებენ, ეს არის და ეს, სხვა ყველაფერი ამის გარდა ქალისთვის მეტ ბარგადაა მიჩნეული.

რა კითხი უნდა, თავის დროზე თეკლათის დედათა მონასტერი სანატრელ საფანეთ და მყუდრო ნათესაყუდელად შეიქმნება დედათა სქესის იმ პირთათვის, რომლებსაც სოფელში ცხოვრება ტანჯვით მიიჩნიათ. ცხადია ეს დიდი და პატივსაცემი სამსახური იქნება თავის თავად, მაგრამ მარტო ეს არ იკმარებს, მარტო ამ ხასიათის სამსახურით მონასტერი ხალხის სულს ვერ მოიკებს და ჩვენს ცხოვრებას თვალგაჩინო კვალს ვერ დაამჩნევს.

ჩვენში მონასტერი უფრო განათლების კერად უნდა იყოს, მონასტრებმა ჩვენს ქალიშვილებს, მომავალ დიასახლისებს და ოჯახის ბურჯებს უნდა განუვითარონ სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და მამულიშვილური გრძობები და ყველა ამებთან ერთად უსაფუოდ ძვალსა და რბილში უნდა ჩააქნოვოს პათ შეგნებული შრომა ზნეობის უნარი, ე. ი. თუ კი შეიძლება ასე თქმა, მონასტერმა უნდა აუტრას მეგრულ ქალიშვილებს სწორეთ ის სულიერი თვისებანი, რომლებსაც ჩვენდა სავალალოთ, დიდი უმრავლესობა მათი მოკლებულია დღეს.

იმედია, თეკლათის მონასტრის ასული ილუმენია, როგორც გამოცდილი აღმზრდელი ქალიშვილებისა და მთელი თავისი არსებით სასწავლებლის მოსიყვარულე, ეცდება დაარსოს თავის მონასტერში ისეთი სასწავლებელი, რომელიც მოგვცემს ქრისტიანულად მორწმუნე და ზნეობა მაღალს, ქველსა და სათნო მოსილს, გამსჯე და მუშაკობით თავ მომწონს, სამშობლო ენისა და მწიგნობრობის მკოდნე ქალიშვილებს. ასეთს ამაგს ღმერთიც დაუმაძლებს პატივცემულ ილუმენიას და დიდათ დაევალებული ერთი თავის დროზე მაღლობით მოიხსენიებს მის სახელს. მარტო ეს საქმე ყოფა მას და მის მორწმუნე მშობლებს სულის საოხ წმინდა სანთლად და საკმეველად.

ჯერ მადგენი ხანი არაა, რაც ილუმენია ნინო განაგებს თეკლათის დედათა მონასტრის საქმეებს და ღირს შესანიშნი უკვე ბევრი რამე მისგან გარიგებული, ვუსურვებთ დედა ილუმენიას ხანგრძლივსა და ერისათვის სასიქადულლო ცხოვრებას. ღმსწრე.

წალმა-უკულმა.*

(მოთხრობა კირილე წუთისოფელისა)

V.

ღიზა მეტად კმაყოფილი იყო თავის ბედის. ის საუკეთესო პირობებში იმყოფებოდა, ქალაქ M-ში რომ გაიხედ-გამოიხედა, მისა სამაშობლო ქუთაისი არაფრად არ მოეჩვენა. მას წარმოუდგა ჩინებული მომავალი; წარმოუდგა, რომ ის გაეცნობოდა კეთილი საქმისადმი

* იხ. „ზინ. საქ.“ № 21.

გულშემატკივარ ამხანაგებს, შეადგენდა წრეს, რომელსაც დაარქმევდა ს ხელად „ღღბანს“, რომელიმე წმიდანის სხეულობაზე და ამ დროშის ქვეშ, ის შემწვობის ხელს გაუწვდენდა ყოველ კეთილ საქმეს, კეთილ მისწრაფებს; შეადგენდა აგრეთვე დიდს, თუ პატარა თანხას, საიდანაც შემწვობას დაუნიშნავდა ღარიბ შეგირდებს, ხელს შეუწყობდა წიგნების გამოცემა-გავრცელებას; მის, ცოტა არ იყოს მივარდნილ ქუჩაში გახსნიდა სამკითხველოს და სხ. და სხ. ამგვარი აზრები, რომელნიც წამ და უწყუმ უტრიალებდენ თავში, მას უნაყოფო ოცნებად არ მიაჩნდა; პირ-იქით, ამას გარდაწყვეტილ კითხვად სთელიდა და ამით აღტაცებას ეძლეოდა გულ-უმანკო აღმიანი.

კოლიასაც ძალიან უყვარდა და აფასებდა ღიზას, მაგრამ ხანდახან ცოტა საყვედურებსაც ეუბნებოდა, რომ ყოველ საღამოს სასიეროდ გამოსვლა არ უყვარდა, უფრო ხშირად შინ ჯდომა ერჩია და რაღაც გატაცება ეტყობოდა; გარდა ამისა, ხშირად პირჯვარსაც იწერდა და რაღაც ლოცვებს ამბობდა... თავდაპირველად კოლიას საყვედურები ღიზასადმი გამოიხატებოდა წვრილ-წვრილ შენიშვნებში, დარიგებაში და ხან ნელ-ნელა მოკლე სიტყვებში, რაც ღიზას მხოლოდ უმნიშვნელო ფრაზები ეგონა და წარმოდგენილი არ ჰქონდა, რომ ამით მას ქმარი პირ და პირ ეუბნებოდა: პირჯვარის-წერაზე ხელი აედო.

ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი თვის შეუღლები იყვნენ კოლია და ღიზა, რომ ერთ დღეს რბილად შენიშნა კოლია ქმარს: — „შენ გენაცვალე კოლია! ასეთი მშვენიერი სახლი გაციკვთებია და არც ერთ ოთახში ხატი რომ არ დაგისვენებია, მეტად ცუდი გიქნია; ქრისტიან კაცს ერთი ხატი რაფა არ უნდა ჰქონდეს სახში?... თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ერთი ღვთისაშობლის ხატი მიყიდე, ჩემო კოლია...“

— ხატი რათ გინდა ჩემო ძვირფასო? ხატები საყდარში უნდა იყოს, თვარა სახში რა უნდა!.. ხატისთვის კიდევ ფული უნდა გამოიმეტოს კაცმა?

ნუ მასხრობ, თუ გიყვარდე! სხვა რამე იმახრე და ხატებს მასხრობა არ შეშვენის!.. ან რა დიდი მაგი ღირს, რომ მაგისტვის საოთხი მანეთი დიშუროს კაცმა! — ცოტა წყენით უპასუხა ღიზამ.

— ხა-ხა-ხა-ა, სამოთხ მანეთზე კი არ არის საქმე, ჩემო ღიზიკო! სამი-ოთხი მანეთის გამოტანა კი არ შეხარება, მხოლოდ ხატები მძულს და არ მინდა ის სახში მქონდეს. რათ მინდა ხატი, რა უნდა გამიკეთოს, რა უნდა ეთხოვო და შევასმინო?! ეს სისულელეა ჩემო ღიზა და ვთხოვ მაგაზე სულ არ იფიქრო. რას გაფითრებულხარ? ე ცრემლები რაღაა რომ გამოგანდა თვალებში?... შენ ცოტა ნასთავლიც ჰყოფილხარ და მიკვირს, რომ ხატებს რაღაც მნიშვნელობას აძლევ! ხატს რა შეუძლია? განა მაგაზე სასაცილო კიდევ იქნება რამე, რომ ხატის წინ დეიჩოქოს კაცმა და მუხლებზე მაზოლი გეიჩინოს... რა უნდა შევასმინოს მას კაცმა?

— კოლია, შენ გენაცვალე! — გულ-შეწუხებულმა წამოიძახა ღიზამ და რავდენიმე ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან, — ეს რა მითხარი კოლია? როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ ასეთი მიმართულების იყავი!.. როგორ? ღმერთი, ხატი, პირჯვარის-წერა არ უნდა სწამდეს ქრისტიან კაცს?... გული რათ მომიკალი? ურჯულოება რა შენი საკადრისია კოლია! რას გიშავებს ღმერთი, ხატი, პირჯვარის-წერა?... იქნება ხუმრობა, მაგრამ ასეთი ხუმრობა რაფა იქნება?... მითხარი კოლია, იყიდი ხატს თუ არა?... მითხარი.

— ეს რა ამბავია ღიზა?! რაზეა შენ რომ ტირი? განა შეიძლება ასეთ სიბრიყვეზე იტიროს აღმიაწმა? — წყენით შენიშნა კოლიამ, — შენ ის გეწყინოს ჩემგან, რომ კლუბში, თეატრში და სხვა წარმოდგენებზე არ წავიყვანო; ან სხვაზე წაკლებ ჩაცმულ-დახურული გამოვიყვანო, თვარა ხატიზე რას გწყდება გული?... ხატებს ვიყიდი კი არა, სადაც იწახავ, დავამტკრე, თუ ის შენ გატირებს!

— რას ამბობ კოლია? პირჯვარი დაიწე-
რე; ცოლ-შვილიანი კაცი უღმრთოდ აპირებ
ცხოვრებას? კლუბი და ვეჩერი რის მაქნისია?
წელანაც შენი ხათრიზა წვევდი ცირკში, თვა
რა, შენც ნუ მომიკვდები, სულაც არ მინდა
წასვლა... ამგვარი მოთხოვნებით შე შენ
არ შეგაწუხებ... თუ კი სცენები დაიდგა—წა-
ვალ; ის კაია ადამიანის ზნეობრივ სიღუბე-
რეს ხატავენ—გამასწორებელი მნიშვნელობა
აქვს; ზოგი ისეთი ადგილები აღმოჩნდება, რომ
უამივით შეძულდება კაცს მისი საკუთარი თა-
ვი; ზოგი მალამოსავით ედება ადამიანს გულზე;
ხანდისხან ტირილით ვერ გაძლ...

— ჰე, ამას კიდევ რას ამბობ შენა?!—
გააწყვეტია სიტყვა განაწყინებულმა კოლიამ,
რას ქვია ტირილი, გამასწორებელი, ზნეობრი-
ვი?!.. შე მინახავს, რომ ზოგი სულელი კიდევ
ტიროდა იქ!... დეილუპონ იქით! წარმოდგე-
ნები მიტომ უნდა შეისმინო, რომ თავი შეიქ-
ციო, იცინო და იმხიარულო და არა იმიტომ,
რომ იტირო!... ჩემო ლიზიკო, შენ ნახევრა-
თაც არ გცოდნია ცხოვრება! გთხოვ, მაგ ბრიყ-
ვულ აზრებს თავი გაანებო... ფული—ფული!..
ქონება შეიძინე და სით, ან როგორ იძენ,
ამის გარჩევაში ნუ შედიხარ!... სატირალი მა-
შინ გექნება, როცა ფული და ქონება არ გექ-
ნება და თუ ესენი გაქვს, სულ იცინე და იქე-
იფე; სხვისი პირი და უბედურება შენი სატი-
რალი არ არის... ეს ასე იცოდე ლიზა, შე და-
მიჯერე და არ წააგებ.

ლიზამ გაკმინდა ხმა. ის დაღონდა და
თავი ძირს დაჰკიდა. მას სულით და გულით
უნდოდა, რომ ასეთ ნათელ საგნებზე გამოკა-
მათებოდა ქმარს, მაგრამ მორიდება დაიკავა.
კოლიას ეგონა, რომ მისმა სიტყვამ გასჭრა.
მისი აზრები შეაგონა ლიზას და დაუვავებით
უთხრა: „ასე ჩემო ლიზა! შენ მე დამიჯერე;
შენი ღმერთი, ხატა და თეატრში ტირილი
მუცელს ვერ გაგიძლებს და ვერც აბრეშუმის
კაბებს ჩაგაცმევს; ამეებს დაგლეჯილი ხელთა-
თმანები გერჩიოს... მე ეხლა საქმეზე მივდივარ

და სადილობამდე თავი შეიქცე... სალამოს
სასეირნოთ გევიდეთ.

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მხედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

შ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .



სტამბა „ურუმა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

დებულაობს უოველგვარ სასტამბო საქმე.

გებულები: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს,
წიგნებს, ბროშურებს და უოველგვარ მასა-
წვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათფადისას,
სამკვლეოვარსას და სხვ. აგრეთვე კონტო-
რებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნა-
კებს, კვიტანციებს, იარაღიკებს, სადარბაზო
ბარათებს (ფიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლე-
ბლასათვის კლასის ეურნალები და ბილეთები.

საქმეებს გსრულებთ სუფთად და თავის
დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით
პატივცემულნი ზაკაზიციები.

ადრესი: ევარილა სტამბა „ურუმა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы



სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

დებულობს ეოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო საქმევერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, სანიჰდოთ და სინდისიერათ.

ფასება ნახატებას დირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ეოვედ შემთხვევაში სასუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მისთან მოიქცენ და არ დაუჯგერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანგე ვიბრუნებთ და სხეას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშენისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ეოველად სამღვდელო **ლეონიდას** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწეებები ახალი ფორმისა და ეველა უწეებები (вѣдомости) წლიური საბლადონინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „მობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаись, Правленіе релігіозно-просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.